



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia



KA030191168413820

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/608

20 / იანვარი / 2020 წ.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორს
ქალბატონ ეკა ურუშაძეს
(ქ. თბილისი 0177, დელისის I შეს. 5 ა)

ასლი: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსს
ბატონ გიორგი სახოკიას

ქალბატონო ეკა,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან გადმოგზავნილი (05.12.2019 GOV81900049090) თქვენი კორესპოდენცია სამომხმარებლო პროდუქციაში ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების შემცველობასთან დაკავშირებით.

როგორც თქვენთვის ცნობილია, სამინისტროში გაიმართა შეხვედრა თქვენი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, რომელზეც დეტალურად იქნა გაანალიზებული საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე არსებული პროდუქციის (პარფიუმერულ-კოსმეტიკური საშუალებები, ბიჟუტერია) კვლევის შედეგები და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების რისკები.

შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ სამინისტრომ სსიპ „ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრთან“ ერთად შეიმუშავა „საქართველოში ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების კონტროლის სტრატეგიისა და ერთიანი მულტისექტორული ხანგრძლივადიანი სამოქმედო გეგმის“ პროექტი, რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ამოცანას, როგორიცაა „ტყვიისაგან თავისუფალი სამომხმარებლო პროდუქციის წარმოება და მიწოდება“, აღნიშნული ამოცანის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი აქტივობები:

- კოსმეტიკური ნაწარმისა და ჰიგიენის საშუალებების ტყვიით კონტამინაციის/დაბინძურების რუტინული მონიტორინგის სისტემის ამოქმედებისათვის საკანონმდებლო საფუძვლების შექმნა
- კოსმეტიკური ნაწარმისა და ჰიგიენის საშუალებების ტყვიით კონტამინაციის/დაბინძურების რუტინული მონიტორინგის სისტემის ამოქმედებისათვის ლაბორატორიული შეფასების შესაძლებლობების შექმნა და გაძლიერება
- კერამიკულ და ფაიფურის ნაწარმში ტყვიის შემცველობის დასაშვები დონეების განმსაზღვრელი რეგულაციების ამოქმედება
- კერამიკულ და ფაიფურის ნაწარმში ტყვიის შემცველობის შეფასებისა და რუტინული მონიტორინგის სისტემის ამოქმედება
- სათამაშოებში ტყვიის შემცველობის შეფასებისა და რუტინული მონიტორინგის სისტემის ამოქმედება
- წყალმომარაგებაში გამოყენებულ მასალებში ტყვიის შემცველობის ამკრძალავი კანონმდებლობის ამოქმედება და საცხოვრებელი შენობის შიგნით არსებული წყალმომარაგების სისტემების შეფასება ტყვიის შემცველობაზე
- სამომხმარებლო პროდუქციის ბაზრის სკრინინგი ტყვიაშემცველი პროდუქციის არსებობაზე და მოსახლეობისადმი ანგარიშგება, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობისათვის
- იმ საგამომცემლო და ბეჭდვითი საწარმოების გამოვლენა, შეფასება და მონიტორინგი, სადაც ტყვიაშემცველი საღებავები გამოიყენება ბეჭდვისა.

ეს აქტივობები, რა თქმა უნდა, მიმართულია კონკრეტულად ტყვიის ზემოქმედების რისკების შემცირებისკენ, თუმცა პროდუქციის მონიტორინგისთვის საკანონმდებლო რეგულაციების შექმნა მოიცავს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებისა და ევროკავშირის მოთხოვნების საფუძველზე პროდუქციის ქიმიური შეადგენლობის მარეგლამენტირებელი დოკუმენტების შექმნას და შესაბამისი მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის ამოქმედებას.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო მიესალმება თქვენი ცენტრის აქტივობას ადამიანის ჯანმრთელობაზე გარემოს ზემოქმედების რისკების გამოვლენის მიმართულებით და გამოთქვამს მზაობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ხელმოწერა/ 
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი ჭავჭავაძე